

**შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL  
INVESTMENT GROUP LTD -ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება**

*2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

**სარჩევი**

---

|                                                                               |      |
|-------------------------------------------------------------------------------|------|
| 1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე                     | -2-  |
| 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: |      |
| 2.1 კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება                        | -7-  |
| 2.2 კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება                                | -8-  |
| 2.3 კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება                    | -9-  |
| 2.4 კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება                         | -10- |
| 3. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები             | -11- |

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD-ის დამფუძნებლებს**

**დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

**პირობითი მოსაზრება**

ჩავატარეთ შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD - ის და მისი შვილობილი საწარმოს (GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

**პირობითი მოსაზრების საფუძველი**

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2021 წლის 19 მარტს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2019 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული ფინანსური შედეგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კონსოლიდირებული მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს)

პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### **ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა**

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ იმ ფაქტზე, რომ GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 13 211 ათასი ლარი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის. ამასთან დაგროვილი ზარალი შეადგენს 77 333 ათას ლარს.

ეს მოვლენა მიუთითებს განუსაზღვრელობის არსებობაზე GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა ავლნიშნავთ, რომ ჯგუფის საკუთარი კაპიტალი ამ ზარალის გათვალისწინებით შეადგენს 50 681 ათას ლარს. აღნიშნულ საკითხზე განმარტებები მოცემულია განმარტებითი შენიშვნების მე-3 განყოფილებაში. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

### **სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს

ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ

მოსაზრება გამოვთქვით GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე

მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მათასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადაწყვეტო, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

### **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

### ***მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე***

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

**მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)**

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD -ის  
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

|                                          |           | 31 დეკემბერი 2020  | 31 დეკემბერი 2019  |
|------------------------------------------|-----------|--------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                          |           |                    |                    |
| ფული და ფულის ექვივალენტები              | <b>13</b> | 6,568,200          | 8,752,229          |
| მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები       | <b>10</b> | 5,328,960          | 5,595,916          |
| გადახდილი ავანსები                       | <b>12</b> | 183,867            | 347,592            |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები        | <b>11</b> | 5,356,266          | 9,900,026          |
| მისაღები პროცენტი                        |           | 16,449,214         | 12,508,260         |
| სხვა მიმდინარე აქტივები                  |           | 23,212,390         | 22,541,148         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |           | <b>57,098,897</b>  | <b>59,645,171</b>  |
| საინვესტიციო ქონება                      | <b>7</b>  | 17,605,430         | 18,303,155         |
| არამატერიალური აქტივები                  | <b>9</b>  | 14,500,218         | 14,500,218         |
| ძირითადი საშუალებები                     | <b>7</b>  | 20,249,089         | 126,116,658        |
| სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები             |           | 904,942            | 1,544,059          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |           | <b>53,259,680</b>  | <b>160,464,090</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                      |           | <b>110,358,577</b> | <b>220,109,261</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                     |           |                    |                    |
| სავაჭრო ვალდებულებები                    | <b>14</b> | 2,985,555          | 4,266,402          |
| მოკლევადიანი სესხები                     |           | 4,229,674          | 68,653,034         |
| გადასახდელი პროცენტი                     |           | 7,986,084          | 9,999,650          |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები          | <b>14</b> | 377,127            | 5,966,356          |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>           |           | <b>15,578,440</b>  | <b>88,885,442</b>  |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები       |           | 44,099,246         | 67,331,653         |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>        |           | <b>44,099,246</b>  | <b>67,331,653</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                 |           | <b>59,677,686</b>  | <b>156,217,095</b> |
| <b>კაპიტალი</b>                          |           |                    |                    |
| სააქციო კაპიტალი                         |           | 121,353,809        | 121,353,809        |
| გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი    |           | (77,332,755)       | (64,121,480)       |
| რეზერვები და სხვა დაფინანსება            |           | 5,320,720          | 5,320,720          |
| არამაკონტროლებელი წილი                   |           | 1,339,117          | 1,339,117          |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                  |           | <b>50,680,891</b>  | <b>63,892,166</b>  |
| <b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b> |           | <b>110,358,576</b> | <b>258,053,355</b> |

დირექტორი

სიაოწინ შაო

22.09.2021წ

შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD -ის  
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

|                                          |           | 31 დეკემბერი<br>2020 | 31 დეკემბერი 2019  |
|------------------------------------------|-----------|----------------------|--------------------|
| <b>აქტივები</b>                          |           |                      |                    |
| ფული და ფულის ექვივალენტები              | <b>13</b> | 6,568,200            | 8,752,229          |
| მიწოდებიდან წარმოქმნილი მოთხოვნები       | <b>10</b> | 5,328,960            | 5,595,916          |
| გადახდილი ავანსები                       | <b>12</b> | 183,867              | 347,592            |
| სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები        | <b>11</b> | 5,356,266            | 9,900,026          |
| მისაღები პროცენტი                        |           | 16,449,214           | 12,508,260         |
| სხვა მიმდინარე აქტივები                  |           | 23,212,390           | 22,541,148         |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>            |           | <b>57,098,897</b>    | <b>59,645,171</b>  |
| საინვესტიციო ქონება                      | <b>7</b>  | 17,605,430           | 18,303,155         |
| არამატერიალური აქტივები                  | <b>9</b>  | 14,500,218           | 14,500,218         |
| ძირითადი საშუალებები                     | <b>7</b>  | 20,249,089           | 126,116,658        |
| სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები             |           | 904,942              | 1,544,059          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>         |           | <b>53,259,680</b>    | <b>160,464,090</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                      |           | <b>110,358,577</b>   | <b>220,109,261</b> |
| <b>ვალდებულებები</b>                     |           |                      |                    |
| სავაჭრო ვალდებულებები                    | <b>14</b> | 2,985,555            | 4,266,402          |
| მოკლევადიანი სესხები                     |           | 4,229,674            | 68,653,034         |
| გადასახდელი პროცენტი                     |           | 7,986,084            | 9,999,650          |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები          | <b>14</b> | 377,127              | 5,966,356          |
| <b>მიმდინარე ვალდებულებები</b>           |           | <b>15,578,440</b>    | <b>88,885,442</b>  |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები       |           | 44,099,246           | 67,331,653         |
| <b>გრძელვადიანი ვალდებულებები</b>        |           | <b>44,099,246</b>    | <b>67,331,653</b>  |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                 |           | <b>59,677,686</b>    | <b>156,217,095</b> |
| <b>კაპიტალი</b>                          |           |                      |                    |
| სააქციო კაპიტალი                         |           | 121,353,809          | 121,353,809        |
| გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი    |           | (77,332,755)         | (64,121,480)       |
| რეზერვები და სხვა დაფინანსება            |           | 5,320,720            | 5,320,720          |
| არამაკონტროლებელი წილი                   |           | 1,339,117            | 1,339,117          |
| <b>მთლიანი კაპიტალი</b>                  |           | <b>50,680,891</b>    | <b>63,892,166</b>  |
| <b>მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი</b> |           | <b>110,358,576</b>   | <b>258,053,355</b> |

დირექტორი  
სიაოწინ შაო  
22.09.2021წ



-----  
*[Handwritten signature]*

შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD -ის  
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

|                                             | 2020 წელ           | 2019 წელ            |
|---------------------------------------------|--------------------|---------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან  | 3,475,696          | 47,551,311          |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება       | -1,108,218         | (18,256,770)        |
| სხვა შემოსავლები                            | 0                  | 383,416             |
| <b>საერთო მოგება</b>                        | <b>2,367,478</b>   | <b>29,677,957</b>   |
| ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი  | -1,207,455         | (9,261,544)         |
| იჯარის ხარჯი                                | -93,116            | (495,799)           |
| ამორტიზაციის ხარჯი                          | -1,801,929         | (10,820,000)        |
| მარკეტინგული ხარჯი                          | -32,184            | (905,178)           |
| კომუნალური ხარჯი                            | -323,633           | (421,384)           |
| ბუღალტრული და საკონს. მომსახურების ხარჯი    | -77,797            | (430,699)           |
| ტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯი            | -4,506             | (1,577,393)         |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                     | -3,568             | (30,317)            |
| საგადასახადო ხარჯი                          | -1,391             | (534,739)           |
| კომუნიკაციის ხარჯი                          | -47,383            | (2,035,286)         |
| მივლინების ხარჯი                            | -2,844             | (534,183)           |
| დაზღვევის ხარჯი                             | -5,267             | (2,270,475)         |
| სხვა საწარმოო ხარჯი                         | -18,530            | (672,188)           |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი             | -33,388            | (437,882)           |
| <b>შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან</b>      | <b>-1,285,513</b>  | <b>(749,110)</b>    |
| საპროცენტო შემოსავალი                       | 2,456,255          | 1,958,207           |
| საპროცენტო ხარჯი                            | -1,846,949         | (5,910,019)         |
| წმინდა მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან | 568,600            | (5,908,127)         |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                    | -13,103,668        | (4,163,710)         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                   | <b>-13,211,275</b> | <b>(14,772,759)</b> |
| მოგების გადასახადი                          |                    |                     |
| <b>წმინდა მოგება</b>                        | <b>-13,211,275</b> | <b>(14,772,759)</b> |
| დირექტორი                                   |                    |                     |

სიაოწინ შაო  
22.09.2021წ

**შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD -ის**  
კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

|                                             | 2020 წელ           | 2019 წელ            |
|---------------------------------------------|--------------------|---------------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან და მომსახურებიდან  | 3,475,696          | 47,551,311          |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება       | -1,108,218         | (18,256,770)        |
| სხვა შემოსავლები                            | 0                  | 383,416             |
| <b>საერთო მოგება</b>                        | <b>2,367,478</b>   | <b>29,677,957</b>   |
| ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი  | -1,207,455         | (9,261,544)         |
| იჯარის ხარჯი                                | -93,116            | (495,799)           |
| ამორტიზაციის ხარჯი                          | -1,801,929         | (10,820,000)        |
| მარკეტინგული ხარჯი                          | -32,184            | (905,178)           |
| კომუნალური ხარჯი                            | -323,633           | (421,384)           |
| ბუღალტრული და საკონს. მომსახურების ხარჯი    | -77,797            | (430,699)           |
| ტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯი            | -4,506             | (1,577,393)         |
| წარმომადგენლობითი ხარჯი                     | -3,568             | (30,317)            |
| საგადასახადო ხარჯი                          | -1,391             | (534,739)           |
| კომუნიკაციის ხარჯი                          | -47,383            | (2,035,286)         |
| მივლინების ხარჯი                            | -2,844             | (534,183)           |
| დაზღვევის ხარჯი                             | -5,267             | (2,270,475)         |
| სხვა საწარმოო ხარჯი                         | -18,530            | (672,188)           |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი             | -33,388            | (437,882)           |
| <b>შედეგი საოპერაციო საქმიანობიდან</b>      | <b>-1,285,513</b>  | <b>(749,110)</b>    |
| საპროცენტო შემოსავალი                       | 2,456,255          | 1,958,207           |
| საპროცენტო ხარჯი                            | -1,846,949         | (5,910,019)         |
| წმინდა მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან | 568,600            | (5,908,127)         |
| სხვა არასაოპერაციო ხარჯი                    | -13,103,668        | (4,163,710)         |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                   | <b>-13,211,275</b> | <b>(14,772,759)</b> |
| მოგების გადასახადი                          |                    |                     |
| <b>წმინდა მოგება</b>                        | <b>-13,211,275</b> | <b>(14,772,759)</b> |
| დირექტორი                                   |                    |                     |

სიაოწინ შაო  
22.09.2021წ



შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD -ის  
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)

|                                                          | 2020 წელი          | 2019 წელი          |
|----------------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b>6,895,839</b>   | <b>(5,635,880)</b> |
| წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან                     | 9,948,308          | 49,868,130         |
| მიმწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები                  | (1,273,508)        | (43,200,838)       |
| გადახდილი ხელფასები                                      | (967,100)          | (7,575,601)        |
| გადახდილი სხვა ანაზღაურება                               | (1,496)            | (1,816,759)        |
| გადახდილი გადასახადი                                     | (810,365)          | (2,910,812)        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>(9,274,747)</b> | <b>123,021</b>     |
| გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა/რეალიზაცია             | (988,375)          | 123,021            |
| შვილობილის გასვლა                                        | (8,286,372)        |                    |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>    | <b>322,450</b>     | <b>1,920,842</b>   |
| სესხის აღება                                             | 1,112,102          | 9,308,842          |
| სესხის დაფარვა                                           | (789,652)          | (7,388,000)        |
| <b>სავალუტო კურსის ეფექტი</b>                            | <b>(127,572)</b>   | <b>370,990</b>     |
| <b>წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b> | <b>(2,184,029)</b> | <b>(3,221,027)</b> |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>       | <b>8,752,229</b>   | <b>11,973,256</b>  |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>            | <b>6,568,200</b>   | <b>8,752,229</b>   |

დირექტორი

სიაოწინ შაო

22.09.2021წ

**შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD -ის**  
**კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება**  
**2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(თანხები მოცემულია ლარში)

|                                                          | 2020 წელი          | 2019 წელი          |
|----------------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</b>   | <b>6,895,839</b>   | <b>(5,635,880)</b> |
| წმინდა ფულადი სახსრები რეალიზაციიდან                     | 9,948,308          | 49,868,130         |
| მიმწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები                  | (1,273,508)        | (43,200,838)       |
| გადახდილი ხელფასები                                      | (967,100)          | (7,575,601)        |
| გადახდილი სხვა ანაზღაურება                               | (1,496)            | (1,816,759)        |
| გადახდილი გადასახადი                                     | (810,365)          | (2,910,812)        |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</b> | <b>(9,274,747)</b> | <b>123,021</b>     |
| გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა/რეალიზაცია             | (988,375)          | 123,021            |
| შვილობილის გასვლა                                        | (8,286,372)        |                    |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</b>    | <b>322,450</b>     | <b>1,920,842</b>   |
| სესხის აღება                                             | 1,112,102          | 9,308,842          |
| სესხის დაფარვა                                           | (789,652)          | (7,388,000)        |
| <b>სავალუტო კურსის ეფექტი</b>                            | <b>(127,572)</b>   | <b>370,990</b>     |
| <b>წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</b> | <b>(2,184,029)</b> | <b>(3,221,027)</b> |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში</b>       | <b>8,752,229</b>   | <b>11,973,256</b>  |
| <b>ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>            | <b>6,568,200</b>   | <b>8,752,229</b>   |

დირექტორი

სიაოწინ შაო

22.09.2021წ




შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD -ის  
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება  
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| <i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>            |                    |                        |                             |
|---------------------------------------------|--------------------|------------------------|-----------------------------|
|                                             | მფლობელთა კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | დაგროვილი<br>მოგება/ ზარალი |
| <b>31, დეკემბერი, 2017</b>                  | <b>122,692,926</b> | <b>5,320,720</b>       | <b>(13,125,140)</b>         |
| შენატანები კაპიტალში<br>პერიოდის შემოსავალი |                    |                        | (36,223,581)                |
| <b>31, დეკემბერი, 2018</b>                  | <b>122,692,926</b> | <b>5,320,720</b>       | <b>(49,348,721)</b>         |
| შენატანები კაპიტალში<br>პერიოდის შემოსავალი |                    |                        | (14,772,759)                |
| <b>31, დეკემბერი, 2019</b>                  | <b>122,692,926</b> | <b>5,320,720</b>       | <b>(64,121,480)</b>         |
| შენატანები კაპიტალში<br>პერიოდის შემოსავალი |                    |                        | (13,211,275)                |
| <b>31, დეკემბერი, 2020</b>                  | <b>122,692,926</b> | <b>5,320,720</b>       | <b>(77,332,755)</b>         |
| მ.შ. არამაკონტროლებელი<br>წილი              | 1,339,117          |                        |                             |
| დირექტორი                                   |                    |                        |                             |

სიაოწინ შაო

-----  
22.09.2021წ

**შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD -ის**  
**კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება**  
**2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(თანხები მოცემულია ლარში)

|                                             | მფლობელთა კაპიტალი | გადაფასების<br>რეზერვი | დაგროვილ<br>მოგება/ ზარა |
|---------------------------------------------|--------------------|------------------------|--------------------------|
| <b>31, დეკემბერი, 2017</b>                  | <b>122,692,926</b> | <b>5,320,720</b>       | <b>(13,125,1</b>         |
| შენატანები კაპიტალში<br>პერიოდის შემოსავალი |                    |                        | (36,223,581              |
| <b>31, დეკემბერი, 2018</b>                  | <b>122,692,926</b> | <b>5,320,720</b>       | <b>(49,348,721</b>       |
| შენატანები კაპიტალში<br>პერიოდის შემოსავალი |                    |                        | (14,772,759              |
| <b>31, დეკემბერი, 2019</b>                  | <b>122,692,926</b> | <b>5,320,720</b>       | <b>(64,121,480</b>       |
| შენატანები კაპიტალში<br>პერიოდის შემოსავალი |                    |                        | (13,211,275              |
| <b>31, დეკემბერი, 2020</b>                  | <b>122,692,926</b> | <b>5,320,720</b>       | <b>(77,332,755</b>       |
| <b>მ.შ. არამაკონტროლებელი</b>               | <b>1,339,117</b>   |                        |                          |
| <b>წილი</b>                                 |                    |                        |                          |
| <b>დირექტორი</b>                            |                    |                        |                          |

სიაოწინ შაო

22.09.2021წ



## 1. ინფორმაცია „კომპანიის“ და შვილობილი საწარმოების თაობაზე

შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

„კომპანიის“ ოფიციალური იურიდიული მისამართია: ქ. ქუთაისი, ავტომშენებლის ქ., №49

შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD-ის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მის საკუთრებაშია არსებული ქონების გაქირავება. გარდა ამისა დაფუძნებული საწარმოების ფუნქციონირებაში ხელშეწყობა.

„კომპანიის“ საოპერაციო შედეგების ანალიზს ხელმძღვანელობა ახორციელებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) მიხედვით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია დამფუძნებელთა კრებაზე.

## 2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის მიხედვით. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

**საგადასახადო კანონმდებლობა.** „კომპანია“ თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს საგადასახადო კოდექსით.

## 3. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებით, რომ „კომპანია“ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და უახლოეს პერიოდში არ იგეგმება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

განვლილ პერიოდში ჯგუფი ჯამურად ფინანსურად ზარალიანი იყო (დაგროვილმა ზარალმა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 77 332 ათასი ლარი).

უშუალოდ 2020 წელს წარმოქმნილმა ზარალმა შეადგინა 13 211 ათასი ლარი. აღნიშნული ზარალის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ის ფაქტი, რომ 2020 წელს მოხდა შვილობილი კომპანიის შპს მაივეი ეარლეინს კო ლტდ-ის წილის გაყიდვა (ეს ქვედანაყოფი მუდმივად ზარალიანი იყო) და შესაბამისად გასვლა კონსოლიდირებიდან. აღნიშნული ოპერაციით კონსოლიდირებულად მიღებული იქნა 13 193 ათასი ლარის ზარალი

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს კაპიტალი (ზემოაღნიშნული ზარალის გათვალისწინებით) შეადგენს 50 681 ათას ლარს. აღნიშნული წარმოადგენს ცალსახა დადასტურებას კომპანიის სიცოცხლისუნარიანობასთან დაკავშირებით.

#### 4. შვილობილი საწარმოები

კომპანიას გააჩნია შვილობილი საწარმოები:

| დასახელება                                        | ს/ნომერი  | პროფილი               | კომპანიის წილი |
|---------------------------------------------------|-----------|-----------------------|----------------|
| შპს ეიჩ-ელ-ბი                                     | 404876764 | არ ფუნქციონირებს      | 100%           |
| შპს ეიჩ-ელ-დი                                     | 404876737 | არ ფუნქციონირებს      | 100%           |
| შპს ეიჩ-ელ-ეი                                     | 404876755 | არ ფუნქციონირებს      | 100%           |
| შპს ეიჩ-ელ-სი                                     | 404876746 | არ ფუნქციონირებს      | 100%           |
| შპს საქართველოს შუნის ავეჯის კომპანია ქუთაისი თიზ | 412712042 | ავეჯის წარმოება       | 100%           |
| შპს ჯორჯია შუნდა ქუთაისი თიზ                      | 412712033 | მომსახურების გაწევა   | 100%           |
| შპს ჰუან ჰი ენერჯი                                | 412728393 | ელენერგიის განაწილება | 65%            |
| შპს სასტუმრო ხუალინი                              | 412685198 | არ ფუნქციონირებს      | 100%           |

#### 5. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

##### 5.1 სამუშაო ვალუტა

„კომპანიის“ სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც „კომპანია“ ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციების თავდაპირველ აღრიცხვას „კომპანია“ აწარმოებს ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი ფუნქციონალური ვალუტის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებო თარიღისთვის ფუნქციონალური ვალუტის სპოტ გაცვლითი კურსის შესაბამისად. სხვაობების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და პირვანდელი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაყვანილია თავდაპირველი ოპერაციების თარიღებისათვის მოქმედი სავალუტო კურსების შესაბამისად.

## 5.2 ძირითადი საშუალებები

### 5.2.1 აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია ისტორიული ღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად დარიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების კაპიტალური რემონტის ხარჯის აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ „კომპანია“ შედეგად მიიღებს თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ შესაძლებელია მისი ხარჯის სარწმუნოდ შეფასება. ყველა დანარჩენი შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

### 5.2.2 ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. მიწას ცვეთა არ ხდება.

სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაა:

|                                  |           |
|----------------------------------|-----------|
| შენობა-ნაგებობები                | 20 წლამდე |
| მანქანები და მოწყობილობები       | 5 წლამდე  |
| საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი | 5 წლამდე  |
| ავტოსატრანსპორტო საშუალებები     | 5 წლამდე  |

### 5.2.3 აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება შემოსავალში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

### 5.3 საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება. საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურეობის ვადის (20 წლის) განმავლობაში. მიწა არ იცვითება. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურეობის ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად. საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

### 5.4 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შეზღუდული სარგებლობის ვადის მქონე არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხებათ წრფივი მეთოდით მომსახურების პერიოდის გათვალისწინებით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება. ყოველწლიურად და ყოველთვის, როცა არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ასეთი არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, ხდება მისი ღირებულების შეფასება და გაუფასურების გამოვლენის შემთხვევაში აღირიცხება როგორც გაუფასურების ზარალი.

### 5.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგის

თვითღირებულება ეყრდნობა FIFO ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, დამუშავების ხარჯს, სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულების მიახლოებითი ხარჯებისა და გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით.

## 5.6 ფინანსური ინსტრუმენტები

### 5.6.1 ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ბასს (IAS) 39-ის მიხედვით, ფინანსური აქტივები შემდეგ კატეგორიებს მიეკუთვნება: მოგებასა და ზარალში ასახული და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, სესხები და მისაღები ანგარიშები, გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები.

ყველა ფინანსური აქტივის აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯები იმ თარიღისთვის, რომლითაც „კომპანია“ გახდა ინსტრუმენტთან დაკავშირებით გაფორმებული ხელშეკრულების მხარე.

„კომპანია“ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობს გრძელვადიანი სესხის სახით არსებულ ფინანსურ აქტივს.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი სახსრების ნაკადების მიღებაზე ან როდესაც გადასცემს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებას ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღებაზე ისეთი გარიგების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ამ ფინანსური აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებელის გადაცემა ხდება. ნებისმიერი მონაწილეობა გადაცემულ ფინანსურ აქტივში, რომელიც „კომპანიამ“ შექმნა ან შეინარჩუნა აღიარებული უნდა იყოს ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

### 5.6.2 ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები ბასს (IAS) 39-ის შესაბამისად კლასიფიცირებულია, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური

ვალდებულებები, სესხები და გადასახდელი ანგარიშები. „კომპანია“ თავისი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას.

„კომპანიის“ ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც მიეკუთვნება სესხებისა და გადასახდელი ანგარიშების კატეგორიას, მოიცავს სესხებსა და გადასახდელ ანგარიშებს და სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას.

შემდგომი შეფასება

სესხები და კრედიტები

მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის (IRR) გამოყენებით.

აღიარების შეწყვეტა

„კომპანია“ ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

### 5.6.3 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩათვლა ხორციელდება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც „კომპანიას“ აქვს სამართლებრივი უფლება მოახდინოს ურთიერთჩათვლა და აპირებს განახორციელოს ურთიერთგაქვითვა ნეტო საფუძველზე, ან ერთდროულად მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომლის მიღება შესაძლებელია აქტივის გაყიდვის შემთხვევაში ან რომელიც გადახდილი უნდა იყოს ვალდებულების გადაცემის შემთხვევაში ჩვეულებრივი გარიგების დროს ბაზრის მონაწილეთა შორის, შეფასების თარიღის მდგომარეობით. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება ვარაუდს, რომ აქტივის გაყიდვასთან ან ვალდებულებების გადაცემასთან დაკავშირებულ გარიგებას ადგილი აქვს:

► აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან

► ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისათვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

როგორც ძირითადი, ისე ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს „კომპანიისათვის“. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

## **სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები**

სესხებთან დაკავშირებული ყველა სხვა ხარჯი აისახება მათი გაწევის პერიოდში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ხარჯები შედგება პროცენტისგან და სხვა დანახარჯებისგან, რომლებსაც „კომპანია“ გაიღებს სესხის მისაღებად.

### **5.7 გადასახადები**

#### **5.7.1 მოგების მიმდინარე გადასახადი**

ზოგადად მოგების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოადგენს საგადასახადო ორგანოებისათვის გადასახდელ ან მათ მიერ დასაბრუნებელ თანხას. ამ თანხის გამოსათვლელად გამოიყენება ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო განაკვეთები და კანონები. 2017 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედებული ე.წ. „ესტონური“ მოდელის შესაბამისად მოგების მიმდინარე გადასახადის გადახდის ვალდებულება „კომპანიას“ არ გააჩნია და იგი დაბეგვრას ახორციელებს კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

#### **5.7.2 დამატებული ღირებულების გადასახადი**

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

► დებიტორული და კრედიტორული დავალიანება, რომელიც მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოსგან მიღებული ან მისთვის გადასახდელი დამატებული ღირებულების გადასახადის აქტივის ან ვალდებულების წმინდა თანხა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

## 5.8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს.

## 5.9 შემოსავლები

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოძინება „კომპანიაში“, ამასთან შემოსავლების შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ხორციელდება გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით და გადასახადების ან მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე უნდა დაკმაყოფილდეს აღიარების შემდეგი სპეციალური კრიტერიუმები:

### საქონლის გაყიდვა

საქონლის გაყიდვის აღიარება ხდება მისი კონტრაგენტისათვის მიწოდებისთანავე, რაც ფიქსირდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტით.

### მომსახურების გაწევა

მომსახურების გაწევის შედეგად მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომსახურება გაწეულია და ანაზღაურების მიღების ალბათობა მაღალია.

### სახელმწიფო ტენდერები

სახელმწიფო ტენდერების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება ონლაინ ტენდერებში გამარჯვების შედეგად საქონლის მიწოდება კონტრაგენტისათვის.

## 5.10 აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ და გრძელვადიანად.

„კომპანია“ აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მიმდინარედ და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მიმდინარეა, როდესაც:

- ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
  - ▶ ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
  - ▶ მოსალოდნელია მისი რეალიზება საანგარიშგებო პერიოდიდან თორმეტი თვის ვადაში;
- ან

► აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ.

ყველა სხვა აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მიმდინარეა, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ნორმალურ სამუშაო რეჟიმში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- არ არსებობს ვალდებულების დაფარვის ანგარიშგების პერიოდის შემდეგ მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას „კომპანია“ გრძელვადიან კატეგორიას მიაკუთვნებს.

ინფორმაცია კომპანიის დაზღვევის სფეროების/სახეობების შესახებ კომპანიების ჯგუფის ზოგადი პოლიტიკაა საოპერაციო საქმიანობისას ყველა შესაძლო რისკის დაზღვევა, რომელიც მოიცავს:

- ძირითად საშუალებებსა და რემონტს
- მარაგებს
- გადაზიდვებს და პასუხისმგებლობას
- იმპორტირებულს საქონელს გზაში

## 6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების რეზერვი

- დებიტორული დავალიანების რეზერვი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მომხმარებელი ვერ აკმაყოფილებს გადახდის ვალდებულებებს, რასაც უმეტეს შემთხვევაში საფუძვლად უდევს აღნიშნული მომხმარებლის ვადაგადაცილებული დებიტორული დავალიანების არსებობა.

## 7. ძირითადი საშუალებები

|                      | საინვესტიციო<br>ქონება | მიწა და<br>შენობები | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ტექნიკა   | საკაირი<br>ტრანსპორტი | სხვა ამორტ<br>იზირებადი | სულ        |
|----------------------|------------------------|---------------------|-----------------------------|-----------|-----------------------|-------------------------|------------|
| საბალანსო ღირებულება | 24,757,075             |                     |                             |           |                       |                         |            |
| 2017 წლის 1 იანვარი  |                        | 17,760,561          | 485,554                     | 3,213,791 |                       | 2,573,919               | 48,790,900 |
| აკუმულირებული ცვეთა  | 4,963,772              |                     |                             |           |                       |                         |            |
| 2017 წლის 1 იანვარი  |                        | 937,381             | 420,753                     | 1,932,952 |                       | 919,726                 | 9,174,584  |

|                                                      |                   |                   |                |                  |                    |                  |                    |
|------------------------------------------------------|-------------------|-------------------|----------------|------------------|--------------------|------------------|--------------------|
| 31 დეკემბერი 2016 წმინდა საბალანსო ღირებულება        | <b>19,793,303</b> |                   |                |                  |                    |                  |                    |
| კაპიტალიზირება                                       |                   | <b>16,823,180</b> | <b>64,801</b>  | <b>1,280,839</b> |                    | <b>1,654,193</b> | <b>39,616,316</b>  |
| შესყიდვები                                           |                   | 837,787           | 159,559        | 54,745           | 127,287,850        | 350,988          | 128,690,930        |
| რეალიზებული აქტივი                                   |                   | 51,072            | -              |                  |                    |                  | 51,072             |
| 31 დეკემბერი 2017                                    | 5,793,374         |                   |                |                  |                    |                  |                    |
| აკუმულირებული ცვეთა                                  |                   | 1,300,294         | 485,333        | 2,575,115        | 1,552,714          | 1,060,365        | 12,767,195         |
| 31 დეკემბერი 2017 წმინდა საბალანსო ღირებულება        | <b>18,963,701</b> | <b>17,246,982</b> | <b>159,781</b> | <b>693,420</b>   | <b>125,735,136</b> | <b>1,864,542</b> | <b>164,663,562</b> |
| კაპიტალიზირება                                       |                   |                   |                |                  |                    |                  |                    |
| შესყიდვები                                           |                   | 528,544           | 37,215         | 459,074          |                    | 162,890          | 1,187,723          |
| რეალიზებული აქტივი                                   |                   | -                 | -              |                  |                    |                  |                    |
| 31 დეკემბერი 2018                                    | 5,863,696         | 2,450,534         | 559,198        | 3,038,815        | 11,735,742         | 1,157,565        | 24,805,550         |
| აკუმულირებული ცვეთა                                  |                   |                   |                |                  |                    |                  |                    |
| 31 დეკემბერი 2018 წმინდა საბალანსო ღირებულება        | <b>18,893,379</b> | <b>16,625,286</b> | <b>123,131</b> | <b>688,794</b>   | <b>115,552,108</b> | <b>1,930,232</b> | <b>153,812,930</b> |
| შესყიდვები                                           |                   | 279,605           |                | 1,141,366        |                    | 585,703          | 2,006,674          |
| რეალიზებული აქტივი                                   |                   |                   | 29,972         | 4,765            |                    | 39,159           | 73,896             |
| 31 დეკემბერი 2019                                    | 6,453,920         | 2,883,767         | 556,833        | 3,462,504        | 20,645,891         | 2,128,530        | 36,131,445         |
| აკუმულირებული ცვეთა                                  |                   |                   |                |                  |                    |                  |                    |
| <b>31 დეკემბერი 2019 წმინდა საბალანსო ღირებულება</b> | <b>18,303,155</b> | <b>16,471,658</b> | <b>95,524</b>  | <b>1,401,706</b> | <b>106,641,959</b> | <b>1,505,811</b> | <b>144,419,813</b> |
| შესყიდვები                                           | 0                 | 365,061           | 2,930          | 2,059,798        | 0                  | 648,949          | 3,076,738          |
| 31 დეკემბერი 2020                                    | 7,151,645         | 3,380,943         | 564,515        | 3,557,193        | 20,645,891         | 2,631,076        | 37,931,264         |
| აკუმულირებული ცვეთა                                  |                   |                   |                |                  |                    |                  |                    |
| გასვლა ნარჩენი ღირებულებით                           |                   | 509,339           | 70,516         | 282,577          | 106,641,959        | 337,821          | 107,842,212        |
| <b>31 დეკემბერი 2020 წმინდა საბალანსო ღირებულება</b> | <b>17,605,430</b> | <b>15,830,204</b> | <b>20,256</b>  | <b>3,084,238</b> | <b>0</b>           | <b>1,314,393</b> | <b>37,854,520</b>  |

## 8. საინვესტიციო ქონება

კომპანიას იჯარით აქვს გაცემული მის საკუთრებაში არსებული არასაცხოვრებელი ფართების ნაწილი. აღნიშნული ქონება სრულად აკმაყოფილებს „საინვესტიციო ქონება“ ბასს 40 -ით განსაზღვრულ საინვესტიციო ქონების მოთხოვნებს. შესაბამისად „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ ბასს 1-ის 54-ე პუნქტის შესაბამისად ცალკეა აღრიცხული.

## 9. არამატერიალური აქტივები

|                                               | არამატერიალური<br>აქტივები |
|-----------------------------------------------|----------------------------|
| 31 დეკემბერი 2017 წმინდა საბალანსო ღირებულება | <b>14 424 246</b>          |
| შესყიდვები                                    | 75 972                     |
| რეალიზებული აქტივი                            | 0                          |
| 31 დეკემბერი 2018 აკუმულირებული ცვეთა         | 0                          |

|                                               |                   |
|-----------------------------------------------|-------------------|
| 31 დეკემბერი 2018 წმინდა საბალანსო ღირებულება | <b>14 500 218</b> |
| შესყიდვები                                    | 0                 |
| რეალიზებული აქტივი                            | 0                 |
| 31 დეკემბერი 2018 აკუმულირებული ცვეთა         | 0                 |
| 31 დეკემბერი 2019 წმინდა საბალანსო ღირებულება | <b>14 500 218</b> |
| შესყიდვები                                    | 0                 |
| რეალიზებული აქტივი                            | 0                 |
| 31 დეკემბერი 2020 აკუმულირებული ცვეთა         | 0                 |
| 31 დეკემბერი 2020 წმინდა საბალანსო ღირებულება | <b>14 500 218</b> |

არამატერიალური აქტივები ძირითადად შედგება საბუღალტრო, სასაწყობო და სხვა პროგრამული უზრუნველყოფისაგან, აგრეთვე პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ლიცენზიებისაგან.

#### 10. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

|                                                  | <b>2020 წელ</b> | <b>2019 წელ</b> |
|--------------------------------------------------|-----------------|-----------------|
| მიმდინარე სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება | 5,328,960       | 5,595,916       |

#### 11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

|          | <b>2020 წელ</b> | <b>2019 წელ</b> |
|----------|-----------------|-----------------|
| მარაგები | 5,356,266       | 9,900,026       |

#### 12. გადახდილი ავანსები

|                                      | <b>2020 წელ</b> | <b>2019 წელ</b> |
|--------------------------------------|-----------------|-----------------|
| მიმწოდებლებისთვის გადახდილი ავანსები | 183,867         | 347,592         |

#### 13. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

|                                 | <b>2020 წელ</b>  | <b>2019 წელ</b>  |
|---------------------------------|------------------|------------------|
| ნაღდი ფული სალაროში (ლარი)      | 4,860            | 95,645           |
| ნაღდი ფული სალაროში (დოლალარი)  | 0                | 78,415           |
| საბანკო ანგარიშები (ლარი)       | 108,382          | 543,485          |
| საბანკო ანგარიშები (აშშ დოლარი) | 6,454,958        | 8,034,684        |
| სულ                             | <b>6,568,200</b> | <b>8,752,229</b> |

#### 14. სასაქონლო, მომსახურებისა და სხვა კრედიტორული დავალიანება

|                                                         | 2020 წელს | 2019 წელს |
|---------------------------------------------------------|-----------|-----------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 2,985,555 | 4,266,402 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                         | 377,127   | 5,966,356 |

#### სავალუტო კურსები

|                       | 31/12/2020 | 31/12/2019 |
|-----------------------|------------|------------|
| ვალუტა                |            |            |
| 1 აშშ დოლარი (USD)    | 3.2766     | 2.8661     |
| ევრო (EUR)            | 4.0233     | 3.2143     |
| 10 ჩინური იუანი (CNY) | 5.0215     | 4.1181     |

დირექტორი

სიაოწინ შაო  
22.09.2021წ

-----

14. სასაქონლო, მომსახურებისა და სხვა კრედიტორული დავალიანება

|                                                         | 2020 წელს | 2019 წელს |
|---------------------------------------------------------|-----------|-----------|
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 2,985,555 | 4,266,402 |
| სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები                         | 377,127   | 5,966,356 |

სავალუტო კურსები

|                       | 31/12/2020 | 31/12/2019 |
|-----------------------|------------|------------|
| ვალუტა                |            |            |
| 1 აშშ დოლარი (USD)    | 3.2766     | 2.8661     |
| ევრო (EUR)            | 4.0233     | 3.2143     |
| 10 ჩინური იუანი (CNY) | 5.0215     | 4.1181     |

დირექტორი

სიაოწინ შაო  
22.09.2021წ



## **შპს “Georgian Huashun International Industrial Investment Group“-ის**

### **კონსოლიდირებული მმართველობითი ანგარიშგება**

#### **საქმიანობის მიმოხილვა**

შპს “Georgian Huashun International Industrial Investment Group“ კომპანია, დაარსდა 11.11.2009 წელს. მისი საქმიანობის სფეროა თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მართვა,უძრავი და მოძრავი ქონების იჯარით გადაცემა, სასტუმროს მომსახურება, ავეჯის რეალიზაცია. დამატებით სფეროს წარმოადგენს სამოქალაქო ობიექტების მშენებლობაც. ვფლობთ 7 ფილიალს (შვილობილ საწარმოს) და დასაქმებული გვყავს 95-მდე ადამიანი.

#### **ბიზნეს მოდელი**

ჩვენმა კომპანიამ 2015 წლის 1 ოქტომბერს ქუთაისში შექმანა „ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“ (შემდგომში „თიზ“),რომლის ფართობიც 36 ჰა-მდეა.თიზ-ის ტერიტორიაზე შესაძლებელია როგორც არსებული შენობის იჯარით აღება,ასევე მიწის ნაკვეთის აღება იჯარით შემდგომ შენობა-ნაგებობის განთავსების მიზნით.თიზ-ი აძლევს საშუალებას სხვადასხვა პროფილის კომპანიებს ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით და განახორციელონ ფართო პროფილის საქმიანობები გარდა ისეთი შეზღუდვებისა, როგორიცაა:იარაღისა და საბრძოლო მასალის შეტანა-წარმოება,ბირთვული და რადიაქტიური ნივთიერებების შეტანა-წარმოება,ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების შეტანა-წარმოება, თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმის წარმოება,აგრეთვე ამ საქონლით ვაჭრობა.გარდა თიზის ტერიტორიისაშესაძლებელია აგრეთვე შენობებისა და ტერიტორიის იჯარით აღება კანონით ნებადართული საქმიანობების წარმოებისათვის.კომპანიას ქუთაისში გააჩნია 101 ადგილიანი სასტუმრო მყუდრო გარემოში,სადაც მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელია სტუმრების მიღება.

## კომპანიის ღირებულებები

კომპანიის ძირითადი მიზანია მივაწოდოთ მომხმარებელს ხარისხიანი მომსახურება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად კომპანია ეფუძნება შემდეგ ღირებულებებს:

- **პასუხისმგებლობა** - მუდმივად ვგრძნობდეთ პასუხისმგებლობას როგორც მომხმარებლების, ასევე თანამშრომლებისა და საქმის მიმართ;
- **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერად ვემსახურეთ თითოეულ მომხმარებელს და კომპანიას;
- **პროფესიონალიზმი** - უწყვეტად ვიზრუნოთ ჩვენ პროფესიულ განვითარებაზე და მომხმარებლებს გავუწიოთ კვალიფიციური მომსახურება;
- **გუნდური სულისკვეთება** - ერთიანი ძალებით, ერთმანეთის მხარდაჭერით შეგვეძლოს საერთო მიზნის მიღწევა.

## ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის შემოსავალმა 2020 წელს შეადგინა 6 500 551 ლარი, მათ შორის საოპერაციო საქმიანობიდან 3 475 696 ლარი, ფინანსური საქმიანობიდან 2 456 255 ლარი და საკურსო სხვაობიდან 568 600 ლარი.

აქტივების ჯამური მოცულობა 2020 წლის ბოლოს შეადგენს 110 358 576 ლარს.

კონსოლიდირებულმა ზარალმა 2020 წელს შეადგინა 13 211 275.0 ლარი, რაც ძირითადად გამოწვეულია შვილობილი საწარმოს გაყიდვით.

მიუხედავად ზემოაღნიშნული ზარალისა, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აქტივები 50 680 891 ლარით აღემატება მის ვალდებულებებს (2019 წლის 31 დეკემბერს ეს მაჩვენებელი იყო 63 892 166 ლარი). ამასთან მიმდინარე აქტივების ღირებულება (57 098 897 ლარი) მიმდინარე ვალდებულებებს (15 578 440 ლარი) 3,67-ჯერ აღემატება (2019 წელს ანალოგიური მაჩვენებელი იყო  $(59645171/88885442)=0,67$ )

## ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

ადამიანური რესურსი კომპანიის ერთ-ერთი მთავარი კაპიტალია.

შესაბამისად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად მიმართულებებზე:

- **შესაბამისი კადრის მოძიება და აყვანა**

კადრის შერჩევისას ყურადღება ექცევა როგორც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე კომპანიას ღირებულებებს, რომლებსაც უნდა იზიარებდეს კომპანიის უკლებლივ ყველა თანამშრომელი. ეს ღირებულებებია:

- პასუხისმგებლობა
- კეთილსინდისიერება
- პროფესიონალიზმი
- გუნდური სულისკვეთება
- მოქნილობა

- **თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება**

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უწყვეტად ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე. კომპანიაში შემუშავებულია თანამშრომელთა კარიერული ზრდის სისტემა, რაც მათ აძლევს საშუალებას განვითარდნენ არა მხოლოდ პროფესიულად, არამედ პოზიციურად. აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს ასევე თანამშრომლების კომპანიისადმი ლოიალობას და ამცირებს გადინების მაჩვენებელს.

- **თანამშრომელთა მოტივაციის სისტემები**

კომპანიის მენეჯმენტი უწყვეტად ზრუნავს თანამშრომლებისათვის ჯანსაღი, სამართლიანი და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნაზე, რაც თავის მხრივ მოქმედებს მათ მოტივაციის ამაღლებაზე.

**ბაზარი, სუბიექტის პოზიცია ბაზარზე**

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები და მათი ფუნქციონირება საქართველოში წარმოადგენს მზარდ ბაზარს. ბაზარზე არსებობს რამოდენიმე კომპანია, რომლებიც ანხორცილებს თიზ-ის მართვას. ამ ფონზე კომპანიისთვის აუცილებელია შექმნას ისეთი საიჯარო პირობები, რათა მოხდეს ჩვენი ზონით დაინტერესება, ამ მიმართულებით კომპანია ახდენს თიზის მოდერნიზებას, აღჭურვას თანამედროვე სისტემებით და ლოჯისტიკის გამართვას, რაც მოგვცემს საშუალებას გავზარდოთ მომხმარებელთა რაოდენობა.

### ფილიალები და მათი საქმიანობა

კომპანიას დაფუძნებული აქვს 7 შვილობილი კომპანია, მათ შორის 6 კომპანია 100%-ანი წილით. ერთ კომპანიაში ფლობს წილის 65%-ს, ამ კომპანიებიდან ოთხი არ ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, ხოლო დანარჩენი ოთხი ეწევა ან გათვალისწინებულია სხვადასხვა ტიპის საქმიანობისთვის

დაფუძნებული კომპანიებია:

| დასახელება                                        | ს/ნომერი  | პროფილი               | კომპანიის წილი |
|---------------------------------------------------|-----------|-----------------------|----------------|
| შპს ეიჩ-ელ-ბი                                     | 404876764 | არ ფუნქციონირებს      | 100%           |
| შპს ეიჩ-ელ-დი                                     | 404876737 | არ ფუნქციონირებს      | 100%           |
| შპს ეიჩ-ელ-ეი                                     | 404876755 | არ ფუნქციონირებს      | 100%           |
| შპს ეიჩ-ელ-სი                                     | 404876746 | არ ფუნქციონირებს      | 100%           |
| შპს საქართველოს შუნის ავეჯის კომპანია ქუთაისი თიზ | 412712042 | ავეჯის წარმოება       | 100%           |
| შპს ჯორჯია შუნდა ქუთაისი თიზ                      | 412712033 | მომსახურების გაწევა   | 100%           |
| შპს ჰუან ჰი ენერჯი                                | 412728393 | ელენერგიის განაწილება | 65%            |

შპს „საქართველოს შუნის ავეჯის კომპანია ქუთაისი თიზ“, შპს „ჯორჯია შუნდა ქუთაისი თიზ“ და სს „ჰუან ჰი ენერჯი“ განთავსებულია ქუთაისის ჰუანგის თვისუფალ ინდუსტრიულ ზონაში. შპს „საქართველოს შუნის ავეჯის კომპანია ქუთაისი თიზ“ აწარმოებს სხვადასხვა ტიპის ავეჯს, შპს „ჯორჯია შუნდა ქუთაისი თიზ“-ის საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს თიზის ტერიტორიის და ტერიტორიაზე განთავსებული

შენობა-ნაგებობების კომუნალური და სარემონტო-სამშენებლო მომსახურებები,სს „ჰუან ჰი ენერჯის“ ძირითადი ფუნქცია იქნება ელ.ენერგიის განაწილება თიზ-ის ტერიტორიაზე. ერთი შვილობილი კომპანია - შპს „მაივეი ეარლეინს კო ლტდ“, რომელიც წარმოადგენს ავიაკომპანიას და საქმიანობის მთავარი სფეროა ხალხის და ტვირთების ავიაგადაზიდვები, გაიყიდა 2020 წელს.

### **რისკების მართვა**

რისკების მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის მომგებიანი ფუნქციონირებისათვის, ხოლო კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თვისივე საქმიანობის ფარგლებში.

### **გეგმები**

კომპანია არის განვითარებადი კომპანია, მიუხედავად იმისა, მსოფლიოში არსებულმა კოვიდპანდემიამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა კომპანიის გეგმებში. დროებით გაჩერდა სასტუმრო,ავეჯის მწარმოებელი კომპანია, გაიყიდა შპს „მაივეი ეარლეინს კო ლტდ“-ს წილი, ქუთაისში აქტიურად მიმდინარეობს თიზ-ის გაფართოებისათვის საჭირო სამუშაოები,მიმდინარეობს მშენებლობა, დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები ქობულეთში დაგეგმილი მაღალი კლასის სასტუმროს მშენებლობისათვის.

**შპს “Georgian Huashun International Industrial Investment Group“**

**დირექტორი**

**სიაოწინ შაო**

22.09.2021წ

დროებით გაჩერდა სასტუმრო, ავეჯის მწარმოებელი კომპანია, გაიყიდა შპს „მაივეი  
ეარლეინს კო ლტდ“-ს წილი, ქუთაისში აქტიურად მიმდინარეობს თიზ-ის  
გაფართოებისათვის საჭირო სამუშაოები, მიმდინარეობს მშენებლობა, დაწყებულია  
მოსამზადებელი სამუშაოები ქობულეთში დაგეგმილი მაღალი კლასის სასტუმროს  
მშენებლობისათვის.

შპს "Georgian Huashun International Industrial Investment Group"

დირექტორი

სიაოწინ შაო

22.09.2021წ



## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD-ის  
დამფუძნებლებს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD - ის და მისი შვილობილი საწარმოს (GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფი) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრისათვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგებისა გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტორებად დაგვნიშნეს 2021 წლის 19 მარტს და ამიტომ ვერ დავაკვირდით წლის დასაწყისში და წლის ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2019 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტორული პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი და საბოლოო ნაშთი მონაწილეობს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, კონსოლიდირებული ფინანსური შედეგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კონსოლიდირებული მოგებისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგების კორექტირება.

აუდიტს წარემართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობა დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის

პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფისაგან ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

### **ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა**

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ იმ ფაქტზე, რომ GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის მიერ მიღებულმა წმინდა ზარალმა შეადგინა 13 211 ათასი ლარი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის. ამასთან დაგროვილი ზარალი შეადგენს 77 333 ათას ლარს.

ეს მოვლენა მიუთითებს განუსაზღვრელობის არსებობაზე GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუმცა ავლნიშნავთ, რომ ჯგუფის საკუთარი კაპიტალი ამ ზარალის გათვალისწინებით შეადგენს 50 681 ათას ლარს. აღნიშნულ საკითხზე განმარტებები მოცემულია განმარტებითი შენიშვნების მე-3 განყოფილებაში. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

### **სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, რომელიც განსაზღვრულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

### **ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების

შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან

პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს GEORGIAN HUASHUN INTERNACIONAL INDUSTRIAL INVESTMENT GROUP LTD ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ. ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

#### **დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე**

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების (მუხლი მე-7 ნაწილები მე-2 და მე-6) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე,

განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

**მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე**

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ოთარ ახოზაძე (აუდიტორთა სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-117835)

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“ (აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-F-564427)

პატივისცემით,

ოთარ ახოზაძე

გარიგების პარტნიორი

ხელმოწერა

თარიღი 28.09.2021წწ

შპს აუდიტორული ფირმა „ალტერ ეგო“



---

მის: თბილისი, 0159 ჭიათურის ქ. 4/6, კორპ. 3, ბინა 53

ტელ: +995 32 210 30 32;

ელ-ფოსტა: [contact@alterego.com.ge](mailto:contact@alterego.com.ge);

ვებ-საიტი: [www.alterego.com.ge](http://www.alterego.com.ge);

მობ: +995 599 97 80 80;